



შპს მაქსიმა

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	18
4. ძირითადი საშუალებები	19
5. არამატერიალური აქტივები	21
6. მარაგები.....	22
7. საგადასახადო აქტივი	22
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	22
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
11. მიღებული სესხები	23
12. ამონაგები.....	23
13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....	24
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	24
15. მიწოდების ხარჯები	25
16. საპროცენტო ხარჯები	25
17. საპროცენტო შემოსავლები.....	25
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები).....	26
19. პირობითი ვალდებულებები	26
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	28
მმართველობის ანგარიშგება	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მაქსიმას მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მაქსიმას (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგები წარმოდგენილია 23,401,716 ლარით. ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულნი შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს მაქსიმას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2021 წლის 30 სექტემბერს პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგებების შესახებ.

მოდულიზაციის საფუძველს წარმოადგენდა სასაქონლო მატერიალური მარაგების არსებობის დადასტურების შეუძლებლობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
- კომპანიის მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრითაა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტრებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

24.11.2022 წელი

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
- კომპანიის მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრითაა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ლევან პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

24.11.2022 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,275,077	5,182,342
არამატერიალური აქტივები	5	33,734	7,805
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,308,811	5,190,147
მარაგები	6	23,401,716	13,597,177
საგადასახადო აქტივი	7	239,522	196,452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,690,345	2,651,808
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	2,215,320	286,960
სულ მიმდინარე აქტივები		28,546,903	16,732,397
სულ აქტივები		33,855,714	21,922,544
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		353	353
დაგროვილი მოგება		29,857,517	15,816,323
სულ კაპიტალი		29,857,870	15,816,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,859,243	4,311,818
მოკლევადიანი სესხები	11	607,300	500,166
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,466,543	4,811,984
გრძელვადიანი სესხები	11	531,301	1,293,884
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		531,301	1,293,884
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,855,714	21,922,544

მანუჩარ მნელაძე
დირექტორი
24.11.2022
ბათუმი


ინეზა ხინიკაძე
მთავარი ბუღალტერი
24.11.2022
ბათუმი

შპს მაქსიმა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,275,077	5,182,342
არამატერიალური აქტივები	5	33,734	7,805
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,308,811	5,190,147
მარაგები	6	23,401,716	13,597,177
საგადასახადო აქტივი	7	239,522	196,452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,690,345	2,651,808
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	2,215,320	286,960
სულ მიმდინარე აქტივები		28,546,903	16,732,397
სულ აქტივები		33,855,714	21,922,544
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		353	353
დაგროვილი მოგება		29,857,517	15,816,323
სულ კაპიტალი		29,857,870	15,816,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,859,243	4,311,818
მოკლევადიანი სესხები	11	607,300	500,166
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,466,543	4,811,984
გრძელვადიანი სესხები	11	531,301	1,293,884
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		531,301	1,293,884
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,855,714	21,922,544



მანუჩარ მნელაძე
დირექტორი
24.11.2022
ბათუმი




ინეზა ხინიკაძე
მთავარი ბუღალტერი
24.11.2022
ბათუმი

შპს მაქსიმა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	77,216,991	41,831,791
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(60,526,525)	(34,130,884)
საერთო მოგება		16,690,466	7,700,907
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(773,585)	(526,906)
მიწოდების ხარჯები	15	(1,458,508)	(934,099)
საოპერაციო მოგება		14,458,373	6,239,902
საპროცენტო ხარჯები	16	(104,362)	(132,733)
საპროცენტო შემოსავლები	17	8,868	32
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(15,335)	(951,809)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ (ხარჯები)	18	36,900	77,601
მოგება დაბეგვრამდე		14,384,444	5,232,993
მოგების გადასახადი		(37,988)	-
წმინდა მოგება		14,346,456	5,232,993
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		14,346,456	5,232,993

მანუჩარ ძნელაძე
დირექტორი
24.11.2022
ბათუმი


ინეზა ხინიკაძე
მთავარი ბუღალტერი
24.11.2022
ბათუმი

შპს მაქსიმა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	77,216,991	41,831,791
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(60,526,525)	(34,130,884)
საერთო მოგება		16,690,466	7,700,907
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(773,585)	(526,906)
მიწოდების ხარჯები	15	(1,458,508)	(934,099)
საოპერაციო მოგება		14,458,373	6,239,902
საპროცენტო ხარჯები	16	(104,362)	(132,733)
საპროცენტო შემოსავლები	17	8,868	32
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(15,335)	(951,809)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ (ხარჯები)	18	36,900	77,601
მოგება დაბეგვრამდე		14,384,444	5,232,993
მოგების გადასახადი		(37,988)	-
წმინდა მოგება		14,346,456	5,232,993
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		14,346,456	5,232,993



მანუჩარ მნელაძე
დირექტორი
24.11.2022
ბათუმი



ინეზა ხინიკაძე
მთავარი ბუღალტერი
24.11.2022
ბათუმი



შპს მაქსიმა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	353	10,583,330	10,583,683
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	5,232,993	5,232,993
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	353	15,816,323	15,816,676
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	14,346,456	14,346,456
დივიდენდის გაცემა	-	(305,263)	(305,263)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	353	29,857,516	29,857,869

მანუჩარ მნელაძე
დირექტორი
24.11.2022
ბათუმი

ინეზა ხინიკაძე
მთავარი ბუღალტერი
24.11.2022
ბათუმი

შპს მაქსიმა


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	353	10,583,330	10,583,683
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	5,232,993	5,232,993
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	353	15,816,323	15,816,676
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	14,346,456	14,346,456
დივიდენდის გაცემა	-	(305,263)	(305,263)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	353	29,857,516	29,857,869



მანუჩარ მნელაძე
დირექტორი
24.11.2022
ბათუმი




ინეზა ხინკაძე
მთავარი ბუღალტერი
24.11.2022
ბათუმი

შპს მაქსიმა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	14,346,456	5,232,993
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	422,326	319,554
მოთხოვნების გაუფასურება	32,757	-
მარაგების გაუფასურება	39,891	-
ფინანსური ხარჯები	104,362	132,733
ფინანსური შემოსავლები	(8,868)	(32)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	19,895	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(26,810)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	15,335	951,809
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	14,945,344	6,637,057
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(9,844,430)	(2,733,393)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(59,713)	(1,050,054)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(1,293,880)	(1,151,090)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(45,125)	(208,790)
მიღებული პროცენტები	8,868	32
გადახდილი პროცენტები	(98,311)	(132,733)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,612,753	1,361,029
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(531,906)	(640,657)
ძირითადი საშუალების გასვლა	-	27,521
არამატერიალური აქტივების შეძენა	(28,979)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(560,885)	(613,136)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(305,263)	-
სესხის გადახდა	(588,988)	(531,930)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(894,251)	(531,930)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	2,157,617	215,963
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	286,960	136,038
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(229,257)	(65,041)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	2,215,320	286,960

მანუჩარ მნელაძე

დირექტორი

24.11.2022

ბათუმი

ინეზა ხინიკაძე

მთავარი ბუღალტერი

24.11.2022

ბათუმი

შპს მაქსიმა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	14,346,456	5,232,993
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	422,326	319,554
მოთხოვნების გაუფასურება	32,757	-
მარაგების გაუფასურება	39,891	-
ფინანსური ხარჯები	104,362	132,733
ფინანსური შემოსავლები	(8,868)	(32)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	19,895	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(26,810)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	15,335	951,809
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	14,945,344	6,637,057
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(9,844,430)	(2,733,393)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(59,713)	(1,050,054)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(1,293,880)	(1,151,090)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(45,125)	(208,790)
მიღებული პროცენტები	8,868	32
გადახდილი პროცენტები	(98,311)	(132,733)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,612,753	1,361,029
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(531,906)	(640,657)
ძირითადი საშუალებების გასვლა	-	27,521
არამატერიალური აქტივების შეძენა	(28,979)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(560,885)	(613,136)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(305,263)	-
სესხის გადახდა	(588,988)	(531,930)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(894,251)	(531,930)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	2,157,617	215,963
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	286,960	136,038
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(229,257)	(65,041)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	2,215,320	286,960

მანუჩარ მნელაძე
დირექტორი
24.11.2022
ბათუმი



ინეზა ხინიკაძე
მთავარი ბუღალტერი
24.11.2022
ბათუმი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

1. კომპანიის აღწერა

შპს მაქსიმა დაფუძნდა 2011 წლის 10 ივნისს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 448383749.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ხელვაჩაური, დ. ხელვაჩაური.

შპს მაქსიმას დამფუძნებლები არიან:

მანუჩარ ძნელაძე, 61006019412 - 50%

ჯიმშერ შალიკაძე, 61006041374 - 50%

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - მანუჩარ ძნელაძე, 61006019412.

კომპანიის ძირითად ბიზნესს წარმოადგენს მერქანბურბუშელოვანი და მერქანბოჭკოვანი ფილების, ავეჯის აქსესუარების, ჩასაშენებელი ტექნიკისა და ლამინირებული იატაკის რეალიზაცია, ასევე საავეჯე მასალების დაჭრისა და დაწიბოვნების მომსახურება.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2020	3.2766	4.0233
31-დეკ-2021	3.0976	3.5040

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღე-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

კომპანია	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები	5 – 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2 – 5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	3 – 5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადა შეფასებულია 5 - 10 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ მერქანბურბუშელოვან და მერქანბოჭკოვან ფილებს, ავეჯის აქსესუარებს და ლამინირებული იატაკის მასალებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საღირსეზო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

შპს მაქსიმა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	დაუმთავ- რებელი მშენებ- ლობა	შენო- ბები	მანქანა- დანად- გარები	სატრანს- პორტო საშუა- ლებები	ოფისის აღჭურ- ვილობა	ავიჯი და სხვა ინვენ- ტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილ- მოწყობა	სულ
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	701,721	2,538,141	412,970	780,469	468,351	127,305	229,603	14,173	5,272,733
დამატება	-	15,635	-	532,744	42,965	26,758	21,121	-	639,223
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	-	(42,795)	(7,405)	-	-	-	(50,200)
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით	701,721	2,553,776	412,970	1,270,418	503,911	154,063	250,724	14,173	5,861,756
დამატება	93,871	381	2,554,129	45,955	235,858	34,045	62,523	59,273	3,086,035
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	(2,554,129)	-	(41,231)	-	(250)	-	-	(2,595,610)
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	795,592	28	2,967,099	1,275,142	739,769	187,858	313,247	73,446	6,352,181
აკუმულირებული ცვეთა									
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	-	-	-	160,600	99,654	43,992	81,060	-	385,306
პერიოდის ცვეთა	-	-	8,483	179,353	77,957	24,845	48,810	4,859	344,307
გასვლა	-	-	-	(42,795)	(7,405)	-	-	-	(50,200)
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით	-	-	8,483	297,158	170,206	68,837	129,870	4,859	679,413
პერიოდის ცვეთა	-	-	59,566	164,465	96,457	30,959	56,837	10,992	419,276
გასვლა	-	-	-	(21,440)	-	(146)	-	-	(21,586)
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	-	-	68,049	440,183	266,663	99,650	186,707	15,851	1,077,103
წმინდა საბ. ღირ. 31.12.2019	701,721	2,538,141	412,970	619,869	368,697	83,313	148,543	14,173	4,887,427
წმინდა საბ. ღირ. 31.12.2020	701,721	2,553,776	404,487	973,260	333,705	85,226	120,854	9,314	5,182,342
წმინდა საბ. ღირ. 31.12.2021	795,592	28	2,899,050	834,959	473,106	88,208	126,540	57,594	5,275,077

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4.1. შპს მაქსიმას საკრედიტო/სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად სს პროკრედიტ ბანკი-ს სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული აქვს მიწა (საკადასტრო კოდი N 05.25.08.042), მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, რომელიც კომპანიის ბალანსზე არის 2,978,293 ლარის ღირებულებით აღრიცხული. უფლებრივი შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირებული არ არის.

5. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სააღრიცხვო პროგრამების ლიცენზიები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	15,223	-	15,223
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	(997)	-	(997)
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	14,226	-	14,226
შემოსვლა	-	28,979	28,979
გასვლა	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	14,226	28,979	43,205
დაგროვილი ცვეთა		-	
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	6,085		6,085
ცვეთა	1,333	-	1,333
გასულების დაგროვილი ცვეთა	(997)	-	(997)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	6,421	-	6,421
ცვეთა	1,601	1,449	3,050
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	8,022	1,449	9,471
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31.12.2019	9,138	-	9,138
31.12.2020	7,805	-	7,805
31.12.2021	6,204	27,530	33,734

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

6. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება:

	31.12.2021	31.12.2020
საქონელი	23,371,257	13,545,991
ნედლეული და მასალები	27,345	22,158
დაუმთავრებელი წარმოება	-	28,167
მზა პროდუქცია	-	99
საწვავი	3,113	762
სულ	23,401,715	13,597,177

7. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,511,441	1,114,541
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	1,178,904	1,537,267
სულ	2,690,345	2,651,808

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს:

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	32,009	2,142
ფული ბანკებში (ლარი)	562,226	226,886
ფული ბანკებში უცხოურ ვალუტაში	1,621,085	57,930
სულ	2,215,320	286,960

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,539,116	4,066,684
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	320,127	245,134
სულ	2,859,243	4,311,818

11. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები შედგება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხებისაგან:

	31.12.2021	31.12.2020
სესხი რეზიდენტი ბანკისგან, აშშ დოლარში:	1,132,551	1,794,051
სესხის მიმდინარე ნაწილი	601,249	500,165
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	531,301	1,293,884
დარიცხული გადაუხდელი პროცენტი	6,051	
სულ	1,138,601	1,794,050

12. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შეადგენს:

	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	75,465,280	40,527,716
შემოსავალი მომსახურებიდან	1,751,711	1,304,075
სულ	77,216,991	41,831,791

13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს:

	2021	2020
გაყიდული შეძენილი საქონელი	59,222,842	33,192,852
საპენსიო ფონდი	14,653	11,271
შრომის ანაზღაურება	711,758	551,954
საიჯარო ქირა	111,864	71,745
კომუნალური ხარჯები	71,704	35,994
ავტომანქანის/ტექნიკის ხარჯები	50,127	21,502
საჭრელი და საკრომკი მომსახურების ხარჯი	70,913	38,813
წარმოების ხარჯი (დამხმარე მასალა)	10,831	4,870
ცვეთა და ამორტიზაცია	202,374	153,127
დანადგარების ნაწილების შეცვლის ხარჯი	36,975	32,798
რპთ დასამატებელი ხარჯები	22,484	15,958
სულ	60,526,525	34,130,884

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს:

	2021	2020
ტერმინალის საკომისიო (GMP03507)	33,993	59,590
საპენსიო ფონდი	8,231	6,331
შრომის ანაზღაურება	399,820	310,052
ბანკის საკომისიო	15,325	11,692
საკანცელარიო ხარჯი	15,584	12,315
ერთჯერადი წყლის ჭიქების ხარჯი	1,348	1,353
ლაზერული კატრიჯის შეცვლის ხარჯი	3,977	4,340
კომუნალური ხარჯები	15,855	7,959
სხვა მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	7,870	6,347
კომუნიკაციის ხარჯები	13,352	15,382
წარმომადგენლობითი ხარჯი	6,420	8,059
დასუფთავების ხარჯი	8,557	4,361
საქველმოქმედო ხარჯები	-	11,418
ქსელის, კომპიუტერის და პრინტერის ხარჯები	9,279	6,528
COVID19-თან საბრძოლველად გაწეული ხარჯები	3,147	5,670
ტერმინალის საკომისიო	57,853	1,389
საკონსულტაციო ხარჯები	77,041	12,561
სარემონტო ხარჯები	1,543	742
ცვეთა და ამორტიზაცია	16,966	12,837
საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	32,757	-
მარაგების გაუფასურება	39,891	-
სხვა ხარჯი	4,776	27,980
სულ	773,585	526,906

15. მიწოდების ხარჯები

კომპანიის მიწოდების ხარჯები შეადგენს:

	2021	2020
საპენსიო ფონდი	6,710	5,162
შრომის ანაზღაურება	325,957	252,773
საქონლის დაცვის, ტრანს და მიწოდებ. ხარჯი	511,165	283,700
საქონლის შეფუთვის ხარჯები	16,720	11,924
საიჯარო ქირა	209,973	134,668
დაცვის მომსახურების ხარჯი	19,520	19,027
კომუნალური ხარჯები	16,853	8,460
სარეკლამო ხარჯი	18,825	10,626
საწვავის ხარჯი	77,095	35,600
მცირეფასიანი ელექტრობის ხარჯები	9,447	3,314
ცვეთა და ამორტიზაცია	202,986	153,590
სხვა საგადასახადო ხარჯი	20,159	15,218
გაყიდვების სტიმულირებისთვის გაწეული ხარჯი	22,170	-
მიწოდების სხვა ხარჯები	928	37
სულ	1,458,508	934,099

16. საპროცენტო ხარჯები

კომპანიის საპროცენტო ხარჯი შეადგენს:

	2021	2020
ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი	104,362	132,733
სულ	104,362	132,733

17. საპროცენტო შემოსავლები

კომპანიის საპროცენტო შემოსავალი შეადგენს:

	2021	2020
სადეპოზიტო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	8,868	32
სულ	8,868	32

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები შეადგენს:

	2021	2020
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	32,373	27,521
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(22,457)	(26,087)
ზედმეტობა/დანაკლისი მარაგების ინვენტარიზაციიდან	-	10,641
გრანტი / დაფინანსება უცხოური ორგანიზაციიდან	29,147	31,533
საქონლის ჩუქებით მიღებული შემოსავალი	926	35,142
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)	(3,089)	(1,149)
სულ	36,900	77,601

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ბრუნვები და ნაშთები 2021 და 2020 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:	2021	2020
სხვა საწარმო	606,171	389,186
სულ	606,171	389,186

საქონლის/მომსახურების შეძენა:	2021	2020
სხვა საწარმო	93	42
სულ	93	42

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

მოთხოვნები:	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნა სხვა დაკავშირებული საწარმოებთან	56,692	64,191
სულ	56,692	64,191

ვალდებულებები:	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულება სხვა დაკავშირებული საწარმოებთან	-	50
სულ	-	50

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2021	2020
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	98,214	116,571
სულ	98,214	116,571

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დაფარული სასესხო ვალდებულებები

შპს მაქსიმამ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე სესხების ძირის დასაფარად ჯამურად გადაიხადა 527,811 ლარი.

დივიდენდის გაცემა

შპს მაქსიმამ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე დამფუძნებლებზე გასცა დივიდენდი 105,263 ლარის ოდენობით.

მიწის შეძენა

შპს მაქსიმამ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე შეიძინა 620,489 ლარის მიწის ნაკვეთები ბათუმში.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს მაქსიმას დირექტორმა ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 24 ნოემბრს.



შპს მაქსიმა

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქართველო, ქ. ბათუმი

2021 წელი

შპს მაქსიმა (ს/ნ: 448383749)

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2011 წლის ივნისში.

იურიდიული მისამართი: ხელვაჩაური, დაბა ხელვაჩაური

ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. # 109

დირექტორი: მანუჩარ ძნელაძე

ტელ: (+995) 574 08 87 08

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ;
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში;
3. თავი II - საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - სოციალური და დასაქმების საკითხები.
5. თავი IV - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა
6. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. თავი VI - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მაქსიმა (ს.კ. 448383749) (შემდგომში „საზოგადოება“) რეგისტრირებულია 2011 წლის 10 ივნისს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, აჭარა, ხელვაჩაური, დაბა ხელვაჩაური.

კომპანიის პარტნიორები (დამფუძვნებელი) არიან:

1. მანუჩარ ძნელაძე (პ.ნ. 61006019412), წილი 50%;
2. ჯიმშერ შალიკაძე (პ.ნ. 61006041374), წილი 50%.

ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - მანუჩარ ძნელაძე (პ.ნ. 61006019412).

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საქმიანობის მიმოხილვა:

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კომპანია დაარსდა 2011 წელს. თავდაპირველად ფირმის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო ავეჯის მაკომპლექტებელი ელემენტებით ვაჭრობა, თუმცა 3 (სამი) წლის შემდეგ კომპანიამ დაიწყო ავეჯის მასალების დახერხვისა და დაწიბოების მომსახურების სფეროს დამატება, ხოლო 2015 წელს დაიწყო საავეჯე მასალების იმპორტი, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ფირმის საქმიანობა ბაზარზე. თავდაპირველად კომპანიაში დასაქმებული იყო 4 (ოთხი) თანამშრომელი, თუმცა დღეს მათმა რაოდენობამ 100 (ასი) გადააჭარბა. კომპანია საქმიანობს მხოლოდ ქ. ბათუმში, არ გააჩნია ფილიალები რეგიონებში, თუმცა აქვს სადილერო სისტემა, რისი მეშვეობითაც ახორციელებს საქონლის რეალიზაციას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანიამ 2018 წელს შეიძინა მიწა ქ. ბათუმში, რომელზეც მოახდინა სასაწყობო ფართების აშენება. სასაწყობო ფართების დამატებით 2019 და 2020 წლებში კომპანიამ მოახდინა როგორც საქონლის ასროტიმენტის და ასევე მარაგების მნიშვნელოვანი ზრდა.

კომპანიის სავაჭრო ობიექტები:

1. ავეჯის მასალების საწყობი - 6171.60 კვ/მ (ქ.ბათუმი, ხახულის მე-2 შესახვევი #71);
2. ავეჯის აქსესუარების საწყობი 1685.05 კვ/მ (ქ.ბათუმი, ხახულის მე-2 შესახვევი #71);
3. საამქრო 1923 კვ/მ (ქ. ბათუმი, ფრი. ხალვაშის გამზ. \$42ა);
4. აქსესუარებისა და მასალების საგამოფენო დარბაზი 2399.50 კვ/მ (ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. #109);
5. ავეჯის აქსესუარების საწყობი 2364 კვ/მ (ქ.ბათუმი, ხახულის #1);

2021 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გაუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2022 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ახალი სასაწყობო ფართების დამატებაზე, ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, შემსყიდველების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს მაქსიმას დირექტორი:

მანუჩარ ძნელაძე

შპს მაქსიმა

მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მაქსიმა (ს.კ. 448383749) (შემდგომში „საზოგადოება“) რეგისტრირებულია 2011 წლის 10 ივნისს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, აჭარა, ხელვაჩაური, დაბა ხელვაჩაური. კომპანიის პარტნიორები (დამფუძვნებელი) არიან:

1. მანუჩარ ძნელაძე (პ.ნ. 61006019412), წილი 50%;
2. ჯიშერ შალიკაძე (პ.ნ. 61006041374), წილი 50%.

ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - მანუჩარ ძნელაძე (პ.ნ. 61006019412).

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საქმიანობის მიმოხილვა:


როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კომპანია დაარსდა 2011 წელს. თავდაპირველად ფირმის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო ავეჯის მაკომპლექტებელი ელემენტებით ვაჭრობა, თუმცა 3 (სამი) წლის შემდეგ კომპანიამ დაიწყო ავეჯის მასალების დახერხვისა და დაწიბოების მომსახურების სფეროს დამატება, ხოლო 2015 წელს დაიწყო საავეჯე მასალების იმპორტი, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ფირმის საქმიანობა ბაზარზე. თავდაპირველად კომპანიაში დასაქმებული იყო 4 (ოთხი) თანამშრომელი, თუმცა დღეს მათმა რაოდენობამ 100 (ასი) გადააჭარბა. კომპანია საქმიანობს მხოლოდ ქ. ბათუმში, არ გააჩნია ფილიალები რეგიონებში, თუმცა აქვს სადილერო სისტემა, რისი მეშვეობითაც ახორციელებს საქონლის რეალიზაციას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანიამ 2018 წელს შეიძინა მიწა ქ. ბათუმში, რომელზეც მოახდინა სასაწყობე ფართების აშენება. სასაწყობე ფართების დამატებით 2019 და 2020 წლებში კომპანიამ მოახდინა როგორც საქონლის ასროტიმენტის და ასევე მარაგების მნიშვნელოვანი ზრდა.

კომპანიის სავაჭრო ობიექტები:

1. ავეჯის მასალების საწყობი - 6171.60 კვ/მ (ქ.ბათუმი, ხახულის მე-2 შესახვევი #71);
2. ავეჯის აქსესუარების საწყობი 1685.05 კვ/მ (ქ.ბათუმი, ხახულის მე-2 შესახვევი #71);
3. საამქრო 1923 კვ/მ (ქ. ბათუმი, ფრი. ხალვაშის გამზ. \$42ა);
4. აქსესუარებისა და მასალების საგამოფენო დარბაზი 2399.50 კვ/მ (ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. #109);
5. ავეჯის აქსესუარების საწყობი 2364 კვ/მ (ქ.ბათუმი, ხახულის #1);

2021 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2022 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ახალი სასაწყობე ფართების დამატებაზე, ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, შემსყიდველების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს მაქსიმას დირექტორი:



მანუჩარ ძნელაძე

თავი I

საქმიანობის ანგარიში

საზოგადოების მართვა

საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

პარტნიორთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.


საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (2011 წლის 9 ივნისის ოქმი #01) 2011 წლის 10 ივნისიდან შპს „მაქსიმას“-ს დირექტორად არჩეულ იქნა მანუჩარ ძნელაძე დაბადების წელი 1985, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოების 50%-ის წილის მფლობელი.

მართვის სტრუქტურა


საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.


დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით:




შოურუმი




საწყობი/საამქრო



შესყიდვების დეპარტამენტი



გაყიდვების დეპარტამენტი



თავი II.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა.
- არსებული კონკურენციის პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს.
- კომპანიის მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პროდუქციის მრავალფეროვნება. მენეჯმენტი ცდილობს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით და საკუთარი რესურსებით გააფართოვოს აღნიშნული მიმართულება, განაახლოს შოურუმები ახალი პროდუქციით და მიყვეს ბაზრის მოთხოვნებს, უპასუხოს ევროპული სტანდარტების მოთხოვნებს. იღებს მომაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში და ამყარებს ახალ სავაჭრო ურთიერთობებს უცხოელ მომწოდებლებთან.
- კომპანია გეგმავს საბითუმო ქსელის განვითარებას.

საზოგადოების განვითარების რესურსებია:

- კომპანიას გააჩნია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად მისაწოდებელი საქონლის საკმაოდ მარაგი


თავი III.

სოციალური და დასაქმების საკითხები:

საზოგადოების წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს სამოტივაო სისტემა (იხ. დანართი). აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. საზოგადოება აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებით. კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. კომპანიაში 2020 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 90 კაცს, ხოლო 2021 წელს 100 კაცს.

შპს „მაქსიმა“ იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.

შპს „მაქსიმა“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნემისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.



თავი IV

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვესტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

- დასალენტი დანადგარი (იტალიური);
- სახერხი დანადგარი (იტალიური);
- დასალენტი დანადგარი (თურქული);


კომპანია მუდმივად ახდენს მომსახურების სფეროს გასაუმჯობესებლად მსოფლიოში წამყვანი კომპანიებიდან მაღალტექნოლოგიური დანადგარების იმპორტს, ინვესტირება ყოველთვის არის დროული და თანმდევი, იმისათვის რომ ვიყოთ წარმატებულები და მუდმივ რეჟიმში ხდებოდეს საწარმოს განვითარება.

ასევე, აღსანიშნავია კომპანიის ფინანსური სამსახურის მუდმივი, მაღალკვალიფიციური მუშაობა საწარმოში, როგორც აღრიცხვის ასევე კომპანიის მომავალი ფინანსური გეგმების დასახვაში, რაც ძალიან დიდ როლს თამაშობს კომპანიის განვითარებაში. რომ არა ფინანსური ჯგუფის ეფექტური მუშაობა, ფაქტიურად 24 საათიანი ჩართულობა, ვერ იქნებოდა მიღწეული ის სიმაღლეები, რომლებზე ეხლა კომპანია იმყოფება.


თავი V- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის ინვენსტიციებს საწარმოში, დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:


1. 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით აქტივების ზრდის ტენდენცია:



2. შემოსავლების დინამიკა 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით:



3. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით:



შპს „მაქსიმა“-ს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ სავაჭრო დარბაზში და ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

თავი VI გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთხელ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და ვთანამშრომლობთ კომპანიასთან რომელსაც გააჩნია სრული უფლებამოსილება სახიფათო ნარჩენების განადგურების, რაც დასტურდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 29.12.2015წელს გაცემული ექსპერტიზის დასკვნა N74 და #1037 ბრძანებით და 16.01.2017წელს გაცემული #000233, MD 1, ნებართვით.

თავი VII

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება.

1. **სავალუტო რისკი** - გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

2. **კადრების გადინების რისკი** - საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს კვალიფიკაციის კადრების მიღებასა და შენარუნებაზე. ამისათვის კომპანიაში გაიცემა მაღალი ანაზღაურება, სისტემატიურად იზრუნება კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მოქმედებს საბონუსე სისტემა, გაიცემა პრემიები და მაღლობის სიგელი.

3. **სტრატეგიული საქონლის მომარაგების რისკი** - 2020 წელს მსოფლიოში განვითარებული პანდემიის გამო შეიქმნა უცხოური მომწოდებლებისგან შეკვეთების დამზადების ვადების გადაწევა და ლიმიტების დაწესება, კომპანიამ ამ რისკის მოსაგვარებლად შეცვალა შესყიდვების დაგეგმარების სისტემა, ფინანსური რესურსები გამოიყენა მომწოდებლებისგან ლიმიტების გაზრდის და მოწოდების ვადების დასარეგულირებლად.

4. პროექტის მუშაობისას **ბუნებრივი მოვლენების** შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.

5. **ქონებრივი რისკები** - დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;
- ვაზღვევთ ქონებას;
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება;
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

სხვა შესაძლო რისკები შეიძლება იყოს:

1. კონკრენციის რისკი;
2. ტენდენციების შეცვლა და ნაშთების გაუფასურება;
3. მომწოდებლებთან/მყიდველებთან ურთიერთობის გაფუჭება;

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2022 წლის 24 ნოემბერს.